საქართველოს
ენერგეტიკული ბირჟა

ელექტროენერგიის ბირჟაზე ვაჭრობა

2026 წლის I-II კვარტალი

მონაწილეები

2026 წლის პირველი ნახევრის ბოლოს დღით ადრე ბაზარზე მონაწილეობისათვის რეგისტრირებული იყო 30, ხოლო დღიურ ბაზარზე - 20 მონაწილე.
ელექტროენერგიის ბირჟის მონაწილეთა სრული სია შეგიძლიათ იხილოთ ბირჟის ოპერატორის ვებგვერდზე - www.genex.ge. ნახაზზე №1 მოცემულია 2025 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით დღით ადრე და დღიურ ბაზრებზე დარეგისტრირებული მონაწილეების რაოდენობა.

ნახაზი №1. ბირჟის მონაწილეების რაოდენობა



შენიშვნა: მონაწილეთა რაოდენობა ასახავს უნიკალურ მონაწილეებს. ერთი მონაწილე ბირჟაზე რეგისტრირებულია ორი განსხვავებული როლით, შესაბამისად, მონაწილეთა რაოდენობაა:
დღით ადრე ბაზარზე 30, დღიურ ბაზარზე -20
ხოლო რეგისტრირებული როლების რაოდენობაა: დღით ადრე ბაზარზე - 31, დღიურ ბაზარზე - 21.

ვაჭრობა

2026 წლის პირველ ნახევარში, დღით ადრე ბაზარზე, მონაწილეებმა ივაჭრეს 41,196 მგვტ.სთ ელექტროენერგია, რაც 2025 წლის იმავე პერიოდის ნავაჭრი რაოდენობის (94,904 მგვტ.სთ) ნახევარზე ნაკლებია.

ნახაზი №2. 2026 წლის I ნახევარში დღით ადრე ბაზარზე მოთხოვნა და მიწოდება



ნახაზი №3. 2026 წლის I ნახევარში დღით ადრე ბაზარზე მოთხოვნა და მიწოდება



2025 წელს აქტიური ვაჭრობა აპრილში დაიწყო და ივნისის ბოლომდე შეუჩერებლად გაგრძელდა. მიუხედავად იმისა, რომ 2026 წელსაც მარტის მეორე ნახევარში დაიწყო მიწოდების განაცხადების განთავსება, ვაჭრობა არ შემდგარა აპრილსა და ივნისის მეორე ნახევარში (იხ. დანახაზი №3).

მიუხედავად იმისა, რომ 2026 წლის გაზაფხული-ზაფხულის პერიოდი ჰიდროელექტროსადგურების გაზრდილი წარმოების შესაძლებლობებით იყო გამორჩეული და ამავდროულად, ელექტროენერგიის ექსპორტი მნიშვნელოვნად იყო შემცირებული საექსპორტო ბაზრებზე დაბალი ფასების გამო,გაზრდილი მიწოდება არ გადაითარგმნა ბირჟაზე ვაჭრობის გაზრდაში. აღნიშნულის მიზეზი შესაძლოა ყოფილიყო წარმოების შეზღუდვასთან დაკავშირებული გაურკვევლობა, მათ შორის შეზღუდვა არსებული გაყიდვის ხელშეკრულების არსებობის პირობებში.

ნახაზზე №4 მოცემულია შერჩეული საათების მიწოდების მრუდები. A შემთხვევაში, მომხმარებლებმა დეფიციტის გამო, ვერ შეძლეს მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილება. B შემთხვევაში მომხმარებლები არ იყვნენ მზად, გადაეხადათ შეთავაზებული ფასი და მიუხედავად იმისა, რომ მოთხოვნა აღემატებოდა მიწოდებას, მომწოდებლების მიერ შეთავაზებული რაოდენობა სრულად ვერ გაიყიდა, ხოლო C შემთხვევაში იყო პროფიციტი, თუმცა მოთხოვნა არ დაფიქსირდა.

ნახაზი №4. მოთხოვნისა და მიწოდების მრუდები შერჩეული საათებისთვის



გასული წლისგან განსხვავებით, როდესაც თვის განმავლობაში ფასები თითქმის უცვლელი რჩებოდა, 2026 წლის მაისში ფასების უფრო მეტი ცვალებადობა დაფიქსირდა — მაქსიმალურ (115 ლარი/მგვტ.სთ) და მინიმალურ (98 ლარი/მგვტ.სთ) ფასებს შორის სხვაობამ 17 ლარი/მგვტ.სთ შეადგინა. ამასთან, მაისში ბირჟაზე დაფიქსირდა მინიმალური ფასი — 98 ლარი/მგვტ.სთ (იხ. ნახაზი №5).

ნახაზი №5. 2026 წლის I ნახევარში დღით ადრე ბაზარზე ვაჭრობის შედეგები



ნახაზი №6. 2026 წლის პირველ ნახევარში ბირჟაზე სავაჭროდ დაშვებული და ნავაჭრი ელექტროენერგიის წილი მთლიან ენერგიაში



ელექტროენერგიის ბირჟაზე გაყიდვა კანონმდებლობით შეზღუდულია სატარიფო რეგულირებას დაქვემდებარებულ და მხარდაჭერის სქემით მოსარგებლე სადგურებისათვის, ასევე შეზღუდულია იმპორტის შეთავაზება ბირჟაზე. ნახაზზე №6 ბირჟაზე გასაყიდად

დაშვებული ელექტროენერგიის წილ და მის იმ ნაწილს, რომლის ფაქტობრივად ვაჭრობა მოხდა შესაბამის თვეში. ელექტროსადგურების დერეგულირების პარალელურად იზრდება ბირჟაზე გასაყიდად ხელმისაწვდომი ელექტროენერგიის რაოდენობა, თუმცა ბირჟაზე ვაჭრობის მოტივაცია კვლავ უცვლელია საათობრივი დაბალანსების და უბალანსობაზე შესაბამისი პასუხისმგებლობის არარსებობის პირობებში.

ნახაზი №7. დღით ადრე ბაზრის საშუალო ფასი და საბალანსო ელექტროენერგიის ფასი



ნახაზზე №7 წარმოდგენილია 2025-2026 წლებში, მარტი-ივნისის თვეების საბალანსო ელექტროენერგიისა და დღით ადრე ბაზრის საშუალო შეწონილი ფასები. საინტერესოა, რომ 2026 წლის მაისსა და ივნისში წარმოების სიჭარბის და შესაბამისად მისი მნიშვნელოვანი შეზღუდვების მიუხედავად, საბალანსო ელექტროენერგიის ამ პერიოდისთვის რეკორდულად მაღალი ფასები დაფიქსირდა.

ბირჟის ფასი ასახავს მონაწილეების მოლოდინს საბლანსო ფასის მიმართ - მწარმოებლები ბირჟაზე ელექტროენერგიას სთავაზობდნენ 2025 წელთან შედარებით საშუალოდ 14%-ით იაფად, წარმოების სიჭარბის და მნიშვნელოვანი შეზღუდვების გათვალისწინებით. თუმცა, საბალანსო ფასის ფორმირების და დისპეტჩირების არსებული მექანიზმის გათვალისწინებით, მოლოდინები არ დაემთხვა რეალობას - პერიოდისთვის რეკორდულად მაღალ ფასებს.

განსხვავება საბალანსო ელექტროენერგიის ფასსა და დღით ადრე ბაზრის საშუალო შეწონილ ფასს შორის 2026 წლის მაისში იყო 22%, ხოლო ივნისში - 28%. საბოლოოდ, მომხმარებლებმა 2026 წლის I ნახევარში, საბალანსო ბაზრის ფასთან შედარებით დაზოგეს 1,066,000 ლარზე მეტი.